ხელშეკრულება №115

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

17 ივნისი 2022 წელი

ერთი მხრივ, **წყალტუბოს მუნიციპალიტეტი**, წარმოდგენილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის - გენადი ბალანჩივაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25
საიდენტიფიკაციო კოდი: №221274546
ტელეფონის ნომერი:
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

და მეორე მხრივ, **შპს „თთ2019“**, წარმოდგენილი დირექტორის - თენგიზ თვარაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“)
მისამართი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის ქ. №44
საიდენტიფიკაციო კოდი: №412747087
ტელეფონის ნომერი: +995599514452
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE27TB7758336080100008

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს საქონლის მიწოდებას თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით.

2. შესყიდვის ობიექტი, ტექნიკური პირობები და კლასიფიკატორის კოდი

2.1. შესყიდვის ობიექტი - სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ონჭეიშში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა.
2.2. კლასიფიკატორის კოდი: (CPV 44114100).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **10 000** (ათი ათასი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორება და ვალუტა

4.1. ანგარიშსწორება მოხდება ერთ ეტაპად, მხარეებს შორის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ მისი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
4.2. ანგარიშწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარში.
4.3. დაფინანსების წყარო - **პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტიდან (100 %).**

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთ ეტაპად. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხარეებს შორის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
5.2. საქონლის მიწოდების ვადად ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ შესაბამის სამსახურში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ მზა ბეტონის მიწოდების დადასტურების დღე.
5.3. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს:
ა) შესყიდვის ობიექტის ადგილზე მიწოდების დამადასტურებელი, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ხელმოწერა;
ბ) ფაქტობრივი მიწოდების დამადასტურებელი ფოტო მასალები;
გ) ბეტონის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (ლაბორატორიული დასკვნა), რომელიც გაცემული უნდა იყოს აკრედიტირებული ლაბორატორიის მიერ.
5.4. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების უფლებამოსილება მიენიჭოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ზედა ონჭეიში, შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე.
6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლი 30 სექტემბრის ჩათვლით,** შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.
7.5. მიმწოდებელი ვალდებულია საქონელი მიაწოდოს შემსყიდველს მოთხოვნის შესაბამისად მოთხოვნიდან არაუგვიანეს მესამე დღისა.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველის“, „მიმწოდებელის“ და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების მიზნით შერჩეული პირის/ორგანოს მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი.
9.2. დაუძლეველი ძალის გარდა, "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობის, ნაწილობრივ შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
9.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური/საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

9.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებისათვის "მიმწოდებელს" დაეკისრება ჯარიმა მისაწოდებელი (დარჩენილი) საქონელის ღირებულების 10%-ის ოდენობით;
9.2.3. თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს საქონლის მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური/საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;
9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმის/პირგასამტეხლოს დაკისრებული თანხა შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში და უზრუნველყოს დარღვეული პირობის დაუყოვნებლივ გამოსწორება.
9.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, "მიმწოდებლის" დაჯარიმების შემთხვევაში, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
9.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ხელშეკრულების მე-7 მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი და მიმწოდებლის პერსონალი

11.1. ქვეკონტრაქტორ(ებ)ს შესაძლებელია შესასრულებლად გადაეცეს შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობის 100% ან ნაკლები;
11.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ნაწილის ქვეკონტრაქტორ(ებ)ზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან და აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე შემყიდველთან პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
11.3. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულების ფარგლებში, ქვეკონტრაქტორ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის დადების თაობაზე და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა აღნიშნულზე. ამ მიზნით, შემსყიდველს წარედგინება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება ღირებულების მითითებით და გასაფორმებელი ქვეკონტრაქტ(ებ)ის ასლი.
11.4. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეკონტრაქტორ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი წარუდგინოს შემსყიდველს, აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - tskaltubo1@gmail.com, მიმწოდებლის შემთხვევაში - ttvaradze777@gmail.com) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს **2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

15. ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარასებობის შესახებ

15.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი	**შპს „თთ2019“-ის დირექტორი**
გენადი ბალანჩივაძე	**თენგიზ თვარაძე**
Genadi Balanchivadze Digitally signed by Genadi Balanchivadze Date: 2022.06.17 17:10:21 +04'00'	Tengiz Tvaradze Digitally signed by Tengiz Tvaradze Date: 2022.06.17 15:52:41 +04'00'

ფასების ცხრილი (დღგს გათვალისწინებით)

№	თემი / სოფელი	შესყიდვის ობიექტის დასახელება	განზომილება (კუბური მეტრი)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	ზედა ონჭეიში	300 მარკიანი მზა ბეტონის შეძენა	37	270.27	10000
				სულ:	10 000

მიმწოდებლის დასახელება: შპს "თთ2019"

ხელმოწერა:

Tengiz Tvaradze

Digitally signed by Tengiz Tvaradze
Date: 2022.06.17 15:53:16 +04'00'